



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება  
ელექტრონული ინჟინერია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

20.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

09.09.2020

თბილისი  
2020

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონული ინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი 0714
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერიან გობრონიძე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა კვიციანი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი გავარდაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მეშველიანი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ელექტრონული ინჟინერია“ შეიქმნა ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის გაყოფის შედეგად. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ახალი რედაქციის მიხედვით ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაცია შეცვლილია ქვედარგების მიხედვით. შესაბამისად, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე პროგრამა დაიყო ორ დამოუკიდებელ პროგრამად ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული ინჟინერია. შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციები ახლა რედაქციაში განისაზღვრა 0714.1.1 ელექტრონული ინჟინერია და 0714.1.2 კომპიუტერული ინჟინერია.

პროგრამა მიზნად ისახავს ელექტროინჟინერიის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტული უმაღლესი განათლება და უნარები თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ გზით დარგის განვითარებას. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს და განუვითაროს ელექტრონული მოწყობილობების კომპონენტების, სისტემებისა და პროცესების პროექტირებისა და რეალიზების, მარტივი პროგრამული კოდის შექმნის, სხვადასხვა საინჟინრო, ფიზიკური და მათემატიკური ამოცანის ანალიზისა და ინოვაციური ტექნოლოგიური აზროვნების უნარი.

უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციო განაცხადი წარდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის მოსაპოვებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული ინჟინერია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. ასევე, განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. სასწავლო კურსები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სახით. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციაა ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი (0714).

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 20 ივლისს (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 ივნისის ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ“). ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის

ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმხორციელებლებთან, მონათესავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასება პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხოეული სტუდენტებისთვის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ, სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით სავალდებულოა ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ენაში. ასევე, ზემოლნიშნული ბრძანებით უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებს და სტუდენტებს არ მოეთხოვებათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების ფაქტის დადასტურება;
- პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები - "სიგნალების დამუშავება" და "გამზომი ხელსაწყოები" დაემატოს პროგრამის ძირითად საგნებს;
- მერვე სემესტრში დაემატოს არჩევითი საგანი "ელექტრონული სქემების დიზაინი";
- შესწორდეს დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსში „ანალოგური ელექტრონიკა“;
- სილაბუსებში მიეთითოს კონკრეტული ამოცანები და ლაბორატორიული სამუშაოები;
- პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გაძლიერდეს ლაბორატორიული ბაზა სტუდენტების რაოდენობის ზრდის შესაბამისად;
- თვითშეფასების ჯგუფის შექმნისას გათვალისწინებული იქნას ჯგუფში სტუდენტების ჩართულობა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სტუდენტებს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საპროექტო, საექსპლუატაციო და მონიტორინგული სამუშაოების შესასრულებლად დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე;
  - დამსაქმებლებთან ერთად დაიგეგმოს სტუდენტების სტაჟირება, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
  - ყურადღება გამახვილდეს სტუდენტსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობაზე და პრაქტიკული ცოდნის გაზრდაზე;
  - გაძლიერდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობას, გაცვლით პროგრამების შემუშავებას.
- 
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- 
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. პროგრამა მიზნად ისახავს ელექტროინჟინერიის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტული უმაღლესი განათლება და უნარები თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ გზით დარგის განვითარებას. პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს და განუვითაროს ელექტრონული მოწყობილობების კომპონენტების, სისტემებისა და პროცესების პროექტირებისა და რეალიზების, მარტივი პროგრამული კოდის შექმნის, სხვადასხვა საინჟინრო, ფიზიკური და მათემატიკური ამოცანის ანალიზისა და ინოვაციური ტექნოლოგიური აზროვნების უნარი.

მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რაც გულისხმობს ცოდნის წარმოებას და პიროვნების განათლებას. პროგრამის მიზანია ასევე კურსდამთავრებულებმა შეძლონ დასაქმება კომპიუტერულ, სატელეკომუნიკაციო და ენერგეტიკული დარგის კომპანიებში. გასაუბრების დროს პროგრამის ორგანიზატორების მიერ აღინიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ თვითონ იყვნენ დამსაქმებლები და თვითდასაქმებულები.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> <li>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგები კუმულაციური სახით წარმოდგენილია ექვსი სწავლის შედეგის სახით. ისინი შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს - განზოგადებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის მიზნები და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის</p>

ჩამოყალიბებული, არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და კორელაციაშია ცალკეული კურსის სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგებთან ერთად, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეიძენს ელექტრონული ინჟინერიისთვის აუცილებელ ცოდნას, რაც გულისხმობს როგორც ინჟინრისთვის აუცილებელ საბაზისო ცოდნას (უმადლესი მათემატიკა, ზოგადი ფიზიკა, პროგრამირება), ასევე, სპეციალობისთვის მნიშვნელოვან თანამედროვე საკითხების ცოდნას. სტუდენტს ექნება ელექტრონული ინჟინერიის ზოგადი თეორიებისა და პრინციპების ცოდნა, წრედთა თეორიის, ანალოგური და ციფრული ელექტრონიკის ძირითადი საკითხების, ნახევარგამტარული მოწყობილობების მუშაობის პრინციპების ცოდნა; მოთხოვნებისა და არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით მარტივი ელექტრონული კომპონენტების, სისტემების პროექტირებისა და შექმნის უნარი; მარტივი ელექტრონული წრედების ტესტირების, ხარვეზების დადგენისა და მათ აღმოფხვრის უნარი;

საუნივერსიტეტო სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი გაივლის ინგლისური ენის, აკადემიური წერის, ბიზნესისა და ეკონომიკის საფუძვლების, ცივილიზაციები და კაცობრიობის განვითარების ზოგად საუნივერსიტეტო კურსებს.

სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში 30 კრედიტის მოცულობით შეუძლია აირჩიოს მისთვის საინტერესო და სასურველი კურსები, როგორც პროგრამის, ასევე მომიჯნავე პროგრამების, მაინორ პროგრამების ან მისთვის საინტერესო საგნების ჩამონათვალიდან.

პროგრამაზე სწავლის შედეგების შეფასება ხდება პერიოდულად სასწავლო კურსების მიმდინარეობის პარალელურად. სწავლის შედეგების გასაზომად გამოიყენება შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ხოლო მათ შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ანალიზებენ საგნის კურატორები. სასწავლო მოდულებში გათვალისწინებულია წერითი, ზეპირი, კომპიუტერული და პრაქტიკული გამოცდები, პრეზენტაციები, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული თემის წარდგენას ელექტრონული ფორმატით და ზეპირად.

შედეგების ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. მაგალითისთვის, წინა წლების შედეგების ანალიზის საფუძველზე და ასევე ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წრედთა თეორიის საგანი გაიყო ორ ნაწილად და რიგ საგნებს (ანალოგური ელექტრონიკა, წრედთა თეორია I, წრედთა თეორია II, ციფრული ელექტრონიკა, მიკროკონტროლერების



პროგრამირება, გამამდიერებლები, სიგნალების დამუშავება) დაემატა საკონტაქტო საათები პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობისთვის, ასევე, დაკორექტირდა საგნების საინჟინრო მათემატიკა I და საინჟინრო მათემატიკა II-ის სტრუქტურა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამა;
  - სილაბუსები;
  - საგანმანათლებლო პროგრამა;
  - პროგრამის სწავლის შედეგების/კომპეტენციების რუკა;
  - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
  - პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
  - ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შეფასება**
- ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაიარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები, ასევე მათი ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე.

როგორც საგანმანათლებლო პროგრამაშია აღნიშნული, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის არ არის თანხვედნაში სამინისტროს ზემოხსენებული ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

დამატებით, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ გააჩნია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი FCE (First Certificate in English), მან უნდა ჩააბაროს ინგლისურ ენის B2 დონის საუნივერსიტეტო გამოცდა (60% დადებითი შეფასება).

<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.</p> <p>ვინაიდან პროგრამა ქართულენოვანია, ხოლო დაშვების წინაპირობების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოეთხოვებათ მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, გაუგებარია როგორ ფასდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის პროგრამის სწავლების ენის ცოდნის დონე და როგორ შეძლებენ ისინი ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამა</li> <li>○ საბაკალავრო სწავლების დებულება</li> <li>○ ვებგვერდი <a href="http://www.ug.edu.ge">www.ug.edu.ge</a></li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხოეული სტუდენტებისთვის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ, სწავლის გაგრძელების მსურველი პირებისთვის პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით სავალდებულოა ჩატარდეს გასაუბრება ქართულ ენაში. ასევე, ზემოაღნიშნული ბრძანებით უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებს და სტუდენტებს არ მოეთხოვებათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების ფაქტის დადასტურება.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. სასწავლო კურსები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სახით. პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომლებიც გადანაწილებული შემდეგნაირად:

- პროგრამის ძირითადი 138 ECTS;
- პროგრამის არჩევითი 24 ECTS (შეთავაზებული 60 ECTS-დან);
- პროგრამის თავისუფალი 12 ECTS (შეთავაზებული 90 ECTS-დან);
- საუნივერსიტეტო სავალდებულო 36 ECTS;
- საუნივერსიტეტო თავისუფალი 30 ECTS.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები - "სიგნალების დამუშავება" და "გამზომი ხელსაწყოები" გახდეს პროგრამის ძირითადი საგნები. ასევე, პროგრამის საგნების შესწავლით გამომუშავებული სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის კონცენტრირებისათვის მიზანშეწონილია, მერვე სემესტრში დაემატოს არჩევითი საგანი "ელექტრონული სქემების დიზაინი" და საგნის სწავლის შედეგები გაიწეროს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა შედგენილია აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ჯგუფში არ არის შეყვანილი სტუდენტები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შედგენისას სტუდენტების ინტერესები გათვალისწინებული იქნა ირიბად, მათგან უშუალო კომუნიკაციისას გამოკვეთილი საჭიროებების და მოთხოვნების, ასევე სხვადასხვა გამოკითხვების შედეგად მიღებული უკავშირის გათვალისწინებით. პროგრამის საგანში - „ანალოგური ელექტრონიკა“ დაშვების წინაპირობა შესასწორებელია (საგანი ისწავლება მესამე სემესტრში და მისი წინაპირობაა - საგანი „წრედთა თეორია 1“, რომელიც ისწავლება მეხუთე სემესტრში), რომელთა დაკავშირებით ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნები - "სიგნალების დამუშავება" და "გამზომი ხელსაწყოები" დაემატოს პროგრამის ძირითად საგნებს;
- მერვე სემესტრში დაემატოს არჩევითი საგანი "ელექტრონული სქემების დიზაინი";
- შესწორდეს დაშვების წინაპირობა სასწავლო კურსში „ანალოგური ელექტრონიკა“.

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ძირითადი სასწავლო კურსის საგნები აგებულია ზოგადი სქემის მიხედვით. თითოეული კურსი მოიცავს 14 სასწავლო კვირას (მათ შორის შუალედური გამოცდითა და საკონსულტაციო კვირის გათვალისწინებით). თითოეული საგნის დატვირთვა უტოლდება 6 კრედიტს. პრაქტიკული უნარები გამოსამუშავებლად შესაბამის საგნებში გათვალისწინებულია სალექციო და პრაქტიკული ან ლაბორატორიული მეცადინეობები.</p>

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ფიზიკის, მათემატიკისა, ელექტონული კომპიუტერული ინჟინერიის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებში ძირითადად მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა ან მათი თარგმანი. აკადემიური პერსონალის მხრიდან აღინიშნა, რომ ეს უადვილებს მათ სილაბუსები ააგონ ახალ და თანამედროვე მასალებზე დაყრდნობით. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. აქ ძირითადად შეიძლება ასე გამოვყოთ: მათემატიკის საგნები პირველი შედეგი, ფიზიკის საგნები მეორე შედეგი, კომპიუტერული მეცნიერებები მესამე შედეგი, ელექტრონიკა მეოთხე შედეგი, პროექტი და საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები გადიან მეხუთე და მეექვსე შედეგებზე.

სილაბუსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის არსებობის გამო წინაპირობაში მოითხოვება ინგლისური ენა. სტუდენტებს ინტერვიუს დროს არ გამოუთქვამთ შენიშვნები ენობრივი ბარიერის გამო.

პროგრამის ელექტრონული ინჟინერია სტუდენტებს ინგლისურ ენოვან ლიტერატურასთან მუშაობის უნარების გამომუშავება შემდგომში გაუადვილებს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მუშაობას (მაგ: Datasheet-ის წაკითხვა, რაც პრაქტიკულად ინგლისურენოვანია).

უმეტესობა სილაბუსებში ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკული ამოცანები მითითებული ზოგადად, მხოლოდ რიგითი ნომრის მითითებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი კონკრეტული თემების/საკითხების მიხედვით წარმოდგენა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სემესტრული გეგმა.

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები  
სილაბუსებში მიეთითოს კონკრეტული ამოცანები და ლაბორატორიული სამუშაოები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია შესაბამისი სავალდებულო საგნები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები. პრაქტიკული პროექტის განხორციელებისათვის არსებობს შესაბამის სივრცეები და საშუალებები. არის პრაქტიკული პროტოტიპების შესრულებული მაგალითები.</p> <p>სტუდენტს საშუალება აქვს გამოიყენოს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები და ელექტრონული სისტემები, შეადგინოს მარტივი მათემატიკური და ფიზიკური მოდელები; მარტივი ციფრული და ანალოგური წრედები, იმუშაოს მიკროკონტროლერებთან; დაგეგმოს და განახორციელოს მარტივი ფიზიკური ექსპერიმენტები, ჩაატაროს მარტივი ელექტრონული წრედების ტესტირება, ხარვეზების დადგენა და მათი აღმოფხვრა;</p>



პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო პროექტის შესრულება, რომლის ფარგლებში სტუდენტები შეასრულებენ კონკრეტულ პროდუქტზე ორიენტირებულ პრაქტიკულ სამუშაოს და შექმნიან სხვადასხვა მოწყობილობებს. სპეციალურად ამ მიზნით არის მოწყობილი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი idealab ელექტრონიკის და ინჟინერიის ლაბორატორია.

პროგრამის მიღმა სტუდენტებს შეეძლებათ ჩაერთონ სხვადასხვა კვლევაში, განახორციელონ საკუთარი ინოვაციური იდეები Startup-Factory-ში.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკის ან საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან: ბატონი ბერიძე გივი - „ედისონ ტექნიკის“ ჯგუფის წარმომადგენელი; ბატონი ხვიტია ბადრი - „ემკოს“ ჯგუფის წარმომადგენელი; ხოლო ZOOM -ის მეშვეობით ჩართვა განხორციელდა ბატონ ირაკი გორდიაშვილთან „კომპანია ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების“ წარმომადგენელი.

ვიზიტის ფარგლებში მათ დააფიქსირეს კურსდამთავრებულთა მომზადების ძლიერი და სუსტი მხარეები და გამოითქვა სურვილები სტუდენტების ცოდნის დონის გაძლიერების მიმართულებით.

შეხვედრაზე პროგრამის ძლიერ მხარედ დაფიქსირდა „ელექტრონული ინჟინერიის“ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე ელექტრო ინჟინერიის ლაბორატორიული ბაზების არსებობა, რომლის სტანდარტებიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, კერძოდ - ელ. სისტემების დიაგნოსტიკის, რობოტ-ტექნიკის, ციფრული დიზაინის მეცნიერული კვლევის მიმართულებით.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა მათი ინტერესი და მზაობა სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის გაძლიერების მიმართულებით, რაც უნდა მოიცავდეს ელ. მაგნიტური თავსებადობის, სისტემების გაზომვის, ელ. ენერჯის გადამცემი ხაზების ობიექტებზე მონიტორინგისა და კვლევითი სამუშაოების გაძლიერებას. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ დამსაქმებლებს უფო დიდი ყურადღება გამახვილებული აქვს ბიზნესის განვითარების მიმართულებით, ვიდრე სტუდენტების დასაქმებაზე. დამსაქმებლების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ისინი დაასაქმებენ 5-10 კაცის რაოდენობით.

საყურადღებოა ასევე დამსაქმებლების ინტერესი სტუდენტების სტაჟირების სრულყოფაზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის ამაღლებას.

<p>გამოითქვა მოსაზრება სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტებს მიეცეს საშუალება ადგილზე დამსაქმებელთა ლაბორატორიებში და შესაბამის ობიექტებზე შეასრულონ პრაქტიკული სამუშაოები შესაბამისი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ე.წ. მეთვალყურის მხედველობაში მიღებით.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა რომ ამ მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა და პოტენციური დამსაქმებლების მოძიება.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა;</li> <li>○ idealab ელექტრონიკის ლაბორატორია;</li> <li>○ ინჟინერიის ლაბორატორია;</li> <li>○ პროგრამის კურიკულუმი;</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>○ ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p style="text-align: center;">წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სტუდენტებს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საპროექტო, საექსპლუატაციო და მონიტორინგული სამუშაოების შესასრულებლად დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე;</li> <li>○ დამსაქმებლებთან ერთად დაიგეგმოს სტუდენტების სტაჟირება, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;</li> <li>○ ყურადღება გამახვილდეს სტუდენტსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობაზე და პრაქტიკული ცოდნის გაზრდაზე.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; ისინი მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით: ლექცია - სემინარი, წიგნთან მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსიები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული მეცადინეობები, ინტერაქტიული მეცადინეობები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემის დასმა და მათი გადაჭრა, ვერბალური და ზეპირსიტყვიერი</p>

<p>მეთოდი, კრიტიკული ანალიზი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები.</p> <p>პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. გამოყენებული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამა, სასწავლო კურსები;</li> <li>○ სწავლის მეთოდების სახელმძღვანელო;</li> <li>○ სწავლება-სწავლის მეთოდები;</li> <li>○ ინდივიდუალური გეგმები;</li> <li>○ გამოკითხვის შედეგები;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი; თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; თითოეულ კურსისთვის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულია შუალედური შეფასების პროცედურები (ქვიზი, კოლოქვიუმი, შუალედური გამოცდა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული დავალება). შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას; შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის; სტუდენტს საშუალება აქვს, საკუთარი ჩემი UG სისტემის პროფილიდან მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით არა მარტო მთლიან შეფასებაზე, არამედ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით იხილოს ლექტორის კომენტარები. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს ნამუშევარი და მიიღოს დასაბუთებული პასუხი შეფასებასთან დაკავშირებით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა, სასწავლო კურსები;
